15/11/2020

უნეტარესი ეპიფანე: “სამწუხარო ამბავი მოგვივიდა დღეს საბერძნეთიდან”

უნეტარესი კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი ეპიფანე გამოემხმაურა საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრის, ლანგადისა და ლიტის და რენდინის მიტროპოლიტის იოანეს გარდაცვალებას, რომელიც კორონავირუსულ ინფექციას ემსხვერპლა.

უნეტარესმა მიტროპოლიტმა ეპიფანემ “ტვიტერის” თავის გვერდზე დაწერა: “დღეს საბერძნეთიდან სამწუხარო ამბავი მოვიდა. დასრულდა ლანგადის მიტროპოლიტის იოანეს მიწიერი სიცოცხლე. ამ იერარქს ძალიან უყვარდა უკრაინა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია. ის ბევრს მუშაობდა ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებისათვის. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!”

აღსანიშნავია, რომ მიტროპოლიტი იოანე იყო საბერძნეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი, რომელმაც უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებთან იმსახურა წირვაზე, მანამ, სანამ საბერძნეთის ეკლესია აღიარებდა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას.

> Сумна звістка надійшла сьогодні з Греції – завершився земний шлях митрополита Лангади владики Іоана. Цей ієрарх дуже любив Україну і Українську Церкву, багато попрацював для зміцнення наших зв’язків. Молимося за упокій його душі у Царстві Небесному. Вічна пам’ять! pic.twitter.com/Hyb6KgUtaz
>
> — Митрополит Епіфаній (@Epifaniy) November 15, 2020

— wenews.ge